

ნინო ბასილაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სალომე თათულიშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნინო გიგილაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნინო ყურაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა თვითეფექტიანობის კვლევა, თელავის
მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მაგალითზე

DOI: 10.52340/erp.2024.05.36

აბსტრაქტი

მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, ნასწავლი მასალის და სკოლის კედლებში მიღებული უნარ-ჩვევების ადეკვატური გამოყენება ადამიანს ეხმარება ზრდასრული ცხოვრებისას მის წინაშე წამოჭრილი პრობლემებისა და სირთულეების დაძლევაში. განვითარების ფსიქოლოგებმა და პედაგოგებმა კარგად იციან, რომ სკოლაში სწავლის მიღება ბავშვის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. დაწყებითი საფეხურის პედაგოგს კარგად უნდა ქონდეს შესწავლილი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ძირითადი კანონზომიერებები, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით. მასწავლებლის თვითეფექტიანობამ როგორც სწავლებაში, ისე კლასის მართვაში შესაძლებელია არსებითი როლი ითამაშოს სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაში.

საკვანძო სიტყვები: მასწავლებელი, თვითეფექტიანობა, სკოლა, მოსწავლე, დავალება.

მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, ნასწავლი მასალის და სკოლის კედლებში მიღებული უნარ-ჩვევების ადეკვატური გამოყენება ადამიანს ეხმარება ზრდასრული ცხოვრებისას მის წინაშე წამოჭრილი პრობლემებისა და სირთულეების დაძლევაში. ადამიანი საზოგადოებასთან კომუნიკაციის შედეგად ვითარდება. პედაგოგს უდიდესი როლი აკისრია ბავშვის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში, შესაბამისი განათლების მიღებაში.

განვითარების ფსიქოლოგებმა და პედაგოგებმა კარგად იციან, რომ სკოლაში სწავლის მიღება ბავშვის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. პირველი კლასიდანვე

ჩნდება ახალი ვალდებულებები და წესები, რომლებსაც ისინი უნდა დაემორჩილონ: გაატარონ უფრო მეტი დრო მერხთან, ვიდრე ამის სურვილი აქვთ; ყურადღებით უსმინონ მასწავლებელს და დაემორჩილონ მის ინსტრუქციებს; ისწავლონ რიგითობის დაცვა მასწავლებლისთვის პასუხის გაცემის დროს და ა.შ. მრავალი კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ზოგადად სკოლაში დაწყებით კლასებში მიღებული ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის მომავალი წარმატებისთვის როგორც აკადემიურ, ისე სოციალურ - ემოციურ სფეროში.

დაწყებითი საფეხურის პედაგოგს კარგად უნდა ქონდეს შესწავლილი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ძირითადი კანონზომიერებები, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტისა და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით; ასევე დაწყებითი საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ საგნობრივ დისციპლინებში, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინება; უნდა შეძლოს პედაგოგიკურ/ფსიქოლოგიური ცოდნის საგნობრივ ცოდნასთან ეფექტიანი ინტეგრირების საშუალებით წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის განხორციელება.

ამერიკელმა ფსიქოლოგმა ალბერტ ბანდურამ როგორც ვიცით დაადგინა თვითეფექტიანობის ოთხი წყარო: დახელოვნების/დაოსტატების გამოცდილება, ფიზიოლოგიური და ემოციური აგზნება, არაპირდაპირი (ვიკარული) განმტკიცება და სოციალური რწმენა. დახელოვნების, დაოსტატების გამოცდილება პირადი გამოცდილებაა.

იგი ჩვენი კომპეტენტურობის შესახებ ინფორმაციის ყველაზე ძლიერი წყაროა. წარმატება ზრდის რწმენას, მაშინ როცა წარუმატებლობა ამცირებს მას. აგზნების დონე გავლენას ახდენს თვითეფექტიანობაზე, იმის მიხედვით, როგორ იქნება ის ინტერპრეტირებული ჩვენ მიერ. თუ დავალების შესრულებისას დეღავთ, ეფექტიანობა ეცემა, თუ ყურადღებით და შემართებით ასრულებთ მას – იზრდება.

არაპირდაპირი, ვიკარული განმტკიცების დროს სხვა იძლევა მიღწევათა ნიმუშს. რაც უფრო მეტად ახდენს მოსწავლე მოდელთან საკუთარი თავის იდენტიფიცირებას, მით მეტია თვითეფექტიანობაზე გავლენა. როცა მოდელი წარმატებულია, მოსწავლის ეფექტიანობაც იზრდება; როცა მოდელი წარუმატებელია, ეფექტიანობის მოლოდინი

იკლებს. მიჩნეულია, რომ დახელოვნების გამოცდილება ეფექტიანობის რწმენის ყველაზე გავლენიანი წყაროა ზრდასრულებთან, ხოლო ბავშვებთან თვითეფექტიანობაზე ყველაზე მეტად მოდელის გავლენა დასტურდება.

სოციალური რწმენა შეიძლება იყოს „წამაქეზებელი საუბარი“ (მაგალითად, „მე ამას შევძლებ“) ან სხვა სპეციფიკური ქმედების უკუკავშირი. მხოლოდ სოციალური რწმენა ვერ შექმნის მაღალი თვითეფექტიანობის განცდას, მაგრამ თვითეფექტიანობის რწმენას შეუძლია უბიძგოს მოსწავლეს, ძალისხმევის დაუზოგავად გამოსცადოს ახალი სტრატეგიები და ბეჯითად იშრომოს მიზნის მისაღწევად. რწმენის პოტენცია ასევე დამოკიდებულია ექსპერტის დამაჯერებლობაზე, სანდოობასა და კომპეტენციაზეც.

არსებობს მრავალი მტკიცებულება, რომ მასწავლებლის თვითეფექტიანობამ როგორც სწავლებაში, ისე კლასის მართვაში შესაძლებელია არსებითი როლი ითამაშოს სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებაში. იმისათვის, რომ მასწავლებელმა მიაღწიოს სასურველ შედეგებს სწავლებაში, მას უნდა ჩამოუყალიბდეს საკუთარ შესაძლებლობების მყარი რწმენა. მასწავლებლის თვითეფექტიანობა კრიტიკული ფაქტორია, რომელიც ეხმარება მას შრომისუნარიანობის ამაღლებასა და სამუშაოთი კმაყოფილების განცდის ჩამოყალიბებაში, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ მიღწევებს.

თვითეფექტიანობის აღქმა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მუშაობის უნარს. განათლების სფეროში ჩატარებული კვლევები აჩვენებს (იხ. Klassen et al., 2011; Klassen and Tze, 2014; Tschannen-Moran and Hoy, 2001; OECD, 2009), რომ მასწავლებლების მიერ საკუთარი ეფექტიანობის აღქმა მნიშვნელოვან კორელაციაშია მოსწავლეების მიღწევებთან და მოტივაციასთან, მასწავლებლების საქმიანობასთან, ენთუზიაზმთან, სამსახურისადმი ერთგულებასა და საქმიანობით კმაყოფილებასთან. საკუთარი ეფექტიანობის დაბალი შეფასება კი გვხვდება მასწავლებლებში, რომლებსაც აწუხებთ მოსწავლეების ქცევის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები, აქვთ დაბალი მოლოდინი მოსწავლეების სწავლის შედეგების მიმართ, ასევე სამსახურთან დაკავშირებული სტრესის მაღალი დონე და ნაკლებად კმაყოფილნი არიან თავიანთი საქმიანობით.

თვითეფექტიანობის საკითხთან დაკავშირებით შევადგინეთ კითხვარი და გადავაგზავნეთ თელავის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლების დაწყებითი კლასების პედაგოგებთან.


კვლევის მიზანს წარმოადგენდა დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა მოსაზრებების შესწავლა თვითეფექტიანობასთან დაკავშირებით. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით. პირველადი ინფორმაციის მისაღებად გამოვიყენეთ გუგლის ონლაინ პლატფორმა, რომლის საშუალებითაც, წინასწარ შედგენილი სტრუქტურირებული კითხვარი გაეგზავნათ მასწავლებლებს ელ-ფოსტებზე. კითხვარი შედგებოდა დახურული, ნახევრად დახურული და ღია შეკითხვებისაგან.

კვლევისას დაცული იყო რაოდენობრივ კვლევასთან დაკავშირებული ეთიკური საკითხები. საკვლევ სეგმენტად განისაზღვრა თელავის მუნიციპალიტეტის 27 საჯარო სკოლის, დაწყებითი კლასების მასწავლებლები. სულ გამოიკითხა 91 რესპოდენტი.

კვლევის ამოცანად განისაზღვრა შემდეგი საკითხები:


- როგორ აფასებენ მასწავლებლები საკუთარ ეფექტიანობას;
- რა გამოწვევებს ხედავენ ამ კუთხით;
- რა ფაქტორები ახდენს გავლენას მასწავლებელთა თვითეფექტიანობაზე;
- როგორ მოქმედებს მასწავლებლის თვითეფექტურობა საკლასო პრაქტიკაზე და მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე?

პირველ რიგში დავინტერესდით მასწავლებლების კმაყოფილების შეფასებით საკუთარი სამსახურისადმი. როგორც აღმოჩნდა გამოკითხული რესპოდენტებიდან კმაყოფილებას აფიქსირებს უმრავლესობა. მხოლოდ გამოკითხულთა 1% -ია უკმაყოფილო:




როგორც აღმოჩნდა მსაწავლებლებს გააჩნიათ საკმაოდ მაღალი ნდობა საკუთარი შესაძლებლობების მიმართ. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ აქვთ უნარი ჩაატარონ საინტერესო და ეფექტური გაკვეთილები, შეუძლიათ სწავლების მეთოდები მოარგონ მათი კლასის მოსწავლეებს სხვადასხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ითვალისწინებენ მოსწავლეების საჭიროებებსა და მოთხოვნებს. ეფექტურად მართავენ კლასს და უზრუნველყოფენ მოსწავლეების ჩართულობას სასწავლო აქტივობებში. (აღნიშნულ მოსაზრებებს გამოკითხულ პედაგოგთა თითქმის 80% პროცენტი ეთანხმება). თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, პედაგოგები აფიქსირებენ გარკვეულ სირთულეებს რაც დაკავშირებულია მოსწავლეების მხრიდან ახალი მასალის ათვისებასთან, ათვისებული მასალის მალე დავიწყებასთან, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან..

რაც შეეხება პროფესიულ განვითარებას, როგორც აღმოჩნდა გამოკითხულ პედაგოგთა უმრავლესობა ხშირად ფიქრობს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე და მიაჩნიათ, რომ მუდმივი პროფესიული განვითარება უნდა წარმოადგენდეს მსაწავლებლისთვის სავალდებულო მოთხოვნას. აღნიშნულ დებულებას გამოკითხულთა უმრავლესობა (94%) დაეთანხმა:




პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ხშირად იღებენ ისეთ პროფესიული განვითარების აქტივობებში მონაწილეობას რომლებიც მიმართულია მათი სწავლების უნარების გაუმჯობესებისაკენ. კითხვაზე „რამდენად ხშირად მონაწილეობთ პროფესიული

განვითარების აქტივობებში თქვენი სწავლების უნარების გასაუმჯობესებლად?“ - ასეთი შედეგი მივიღეთ:




საინტერესოა, პროფესიული განვითარების რომელ აქტივობებში იღებდნენ მონაწილეობას დაწყებითი საფეხურის პედაგოგები ბოლო ერთი წლის განმავლობაში, და მათი აზრით რომელი აქტივობა ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიული განვითარების კუთხით. როგორც კვლევამ აჩვენა პედაგოგები ძირითად აქცენტს აკეთებენ ტრენინგებზე და მათი უმრავლესობა გასული სასწავლო წლის განმავლობაში სწორედ პროფესიულ ტრენინგებს ესწრებოდა. ინსტრუმენტში შეკითხვა ატარებდა მრავალჯერადი შეკითხვის ხასიათს და რეპოდენტებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ ერთზე მეტი პასუხი. პროფესიული ტრენინგების შემდეგ პროფესიული განვითარების შემდეგ აქტივობად ონლაინ კურსები დასახელდა:



კვლევაში მონაწილე დაწყებითი საფეხურის პედაგოგების აზრით, მათი პროფესიული განვითარება დადებითად მოქმედებს როგორც მოსწავლეთა სწავლასა და შედეგებზე, ისე მათივე თვითეფექტურობის მაღალ მაჩვენებელზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების ეფექტურად წარმართვისათვის, ნებისმიერი პედაგოგისათვის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსების მოძიება, რაც დაკავშირებულია სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერასთან. გამოკითხულთა 57% თვლის, რომ სკოლის ადმინისტრაცია ზემოთ აღნიშნულ პროცესში ეხმარება. პედაგოგთა 49% შუალედურ პოზიციას აფიქსირებს და მიაჩნია, ამ პროცესებში სკოლის ადმინისტრაცია მეტ-ნაკლებად ეხმარება, ხოლო გამოკითხულთა 1% თვლის, რომ სკოლისაგან სასწავლო რესურსებზე მხარდაჭერას ვერ იღებს.

საინტერესოა, გამოკითხულთა აზრით რამდენად ახდენს გავლენას მასწავლებელთა თვითეფექტურობაზე გავლენას გარემო. როგორც აღმოჩნდა კოლეგების აზრი, სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერა, შესაბამისი ანაზღაურება და წახალისება მნიშვნელოვანი ფაქტორებია მასწავლებელთა თვითეფექტურობის ნაწილში:



კვლევაში მონაწილე პედაგოგებს ვთხოვეთ ღია კითხვის საშუალებით დაესახელებინათ ის ბოლო გამოცდილება, სადაც თავი იგრძნეს განსაკუთრებულად წარმატებულად. ამ შემთხვევაში მათი მოსაზრებები იყო განსხვავებული. ნაწილი კონკრეტულ აქტივობაზე საუბრობდა ნაწილი კი მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლებოდა და აღნიშნა, რომ ნებისმიერი შედეგი რასაც მოსწავლე აფიქსირებს მათთვის უკვე წარმატებაა:

“წარმატებულად ვგრძნობ ყოველთვის თავს, როდესაც მოსწავლეებში რეალურ შედეგს ვხედავ“. კონკრეტულ აქტივობებს რაც შეეხება პედაგოგები საუბრობენ პროექტებზე, რომლის განხორციელებაში თავად იყვნენ ჩართულები, მათ მიერ ჩატარებულ ღია გაკვეთილებზე, სხვადასხვა უნივერსიტეტების მიერ დაგეგმილ ვორქშოპებზე, მასწავლებლის სახლის მიერ დაორგანიზებულ წარმატებულ ტრენინგებზე, სსსმ მოსწავლეებთან მიღწეული შედეგებზე, კურიკულუმებზე მუშაობასა და სხვა.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ კვლევაში მონაწილე პედაგოგები, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ დადებითად აფასებენ საკუთარ ეფექტიანობას, მაინც ფიქრობენ, რომ მუდმივი განვითარება მასწავლებლისათვის ბუნებრივი მდგომარეობაა და საკუთარი პროფესიული ზრდისა და განვითარებისათვის ქმედით ნაბიჯებს ყოველთვის გადადგავენ. მასწავლებლის თვითეფექტურობაზე გავლენას ახდენს პიროვნული და გარემო ფაქტორების კომბინაცია, სწავლების გამოცდილება, პროფესიული განვითარება და სკოლის მხარდაჭერა.

გამოყენებული ლიტერატურა:

თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, დაწყებითი კლასის მასწავლებლებთან ჩატარებული კვლევის მასალები, 2024 წლის ოქტომბერი.
სოციალურ-კოგნიტური თეორია (ბანდურა ა., მიშელი)

Nino Basilashvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

Salome Tatulishvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

Nino Gigilashvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

Nino Kurashvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

**A Study on the Self-Efficacy of Primary School Teachers: The Case of Public Schools
in Telavi Municipality**

Abstract

Academic achievements, the proper application of obtained material, and skills acquired within the school environment help individuals overcome problems and challenges they encounter in their mature age. Developmental psychologists and educators are well aware that acquiring education at school is a crucial event in a child's life. A primary school teacher must be well-versed in the fundamental principles of the educational process, taking into account the requirements of professional teaching standards and subject-specific characteristics. A teacher's self-efficacy in both teaching and classroom management can play a significant role in improving the quality of education and enhancing students' achievements.

Keywords: self-efficacy, student, school, teacher, education